GEORGIANNESS IN THE 50s-60s OF THE CENTURY

ქართველობა მე-19 საუკუნის 50-იან-60-იან წლებში

Ketevan Mania
Doctor of History
Senior- research , Ivane Javakhishvili Institute of history and Ethnology
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0002-0751-7577
(+995)599472418; ketevan.mania@gmail.com

Abstract

This work is about the history of Georgian identity in the 50s-60s of the 19th century analyzed from a different point of view. The Crimean War and the issue of the Georgian kingdom provinces are discussed and public perceptions among Georgians regarding the Crimean War are presented. It shows how Georgia was involved in the war as a constituent part of the empire, as a way of preserving territorial identity, or as a religious unity.

The discussed material testifies that the main force of the Transcaucasian line of the Russo-Ottoman war was the Georgian People's Army. In the struggle for territorial redistribution, both empires aimed to appropriate the historical land of Georgia. For the Georgian people, it was a struggle for preserving identity, and standing on Russia's side a part of them believed that religious unity was equivalent to preserving identity. However, as we have seen, it did not guarantee the preservation of identity at all.

Key words: Georgianness, identity, the printed media, Russia, Ottoman Empire.

ქეთევან მანია
ისტორიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი. თბილისი, საქართველო
ORCID ID: 0000-0002-0751-7577
(+995)599472418. ketevan.mania@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განსხვავებული რაკურსით გაანალიზებულია ქართული იდენტობის ისტორია მე-19 საუკუნის 50-60-იან წლებში. ამ თვალსაზრისით განხილულია ყირიმის ომი და ქართული სამეფო-სამთავროების საკითხი. წარმოჩენილია საკვლევი თემატიკის საზოგადოებრივი აღქმები. ნაჩვენებია თუ როგორ აღიქვამდა ქართველობა ყირიმის ომს, როგორ იქნა ჩაბმული ომში საქართველო, როგორც იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ან ტერიტორიული იდენტობის შენარჩუნების გზა, თუ როგორც რელიგიური ერთობა.

განხილული მასალა მოწმობს, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის ამიერკავკასიის ხაზის მთავარ ძალას ქართული სახალხო ლაშქარი შეადგენდა. ტერიტორიული გადანაწილებისათვის ბრძოლაში ორივე იმპერია მისაკუთრებას უპირებდა საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალს. ქართველი ხალხისთვის ეს იყო ბრძოლა თავისთავადობისათვის, თავისებური აღქმა ქართველობის შენარჩუნების რთულ გზაზე. ამ ბრძოლაში რუსეთის გვერდით დგომა თვითგადარჩენის გზად წარმოედგინა ქართველობის ნაწილს, რომლთაც რელიგიური ერთობა იდენტობის შენარჩუნების ტოლფასი ეგონა. თუმცა, რელიგიური ერთობა, როგორც ვნახეთ, ვერ გახდა იდენტობის შენარჩუნების გარანტი.

საკვანძო სიტყვები: ქართველობა, იდენტობა, ბეჭდური მედია, რუსეთი, ოსმალეთი.

შესავალი

მე-19 საუკუნე მძიმე განსაცდელის ხანაა ქართველობისათვის. რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკით იქმნება ახალი პოლიტიკური რეალობა, ახალი იმპერიული მეხსიერება. საანალიზო პერიოდში, რომელიც გამოკვეთილია იმპერიათა ჭიდილით გავლენის სფეროებისათვის, რთულ გზას გადის ქართული ტერიტორიული იდენტობა, ვინაიდან პირდაპირ იყო ჩაბმული ამ ომში, ბრძოლები მიმდინარეობდა საქართველოს ტერიტორიაზეც. ორივე ქვეყნის იმპერიული პოლიტიკა ცდილობდა იდენტობის საზღვრების იმპერიის საზღვრებში მოქცევას, იდენტობის ტერიტორიული საზღვრების წაშლას. იდენტობის უმთავრეს მახასიათებელს მიწას, მამულს, გარდა იმისა, რომ იდენტობის საცხოვრისს წარმოადგენს, აქვს სიმბოლური მნიშვნელობაც. ტერიტორია ეს არის მიწა, რომელზეც ისტორიულად, ხანგრძლივად მოსახლეობს ესა თუ ის ხალხი, რომელიც არის მამა-პაპათა საძვალე ადგილი. იმისათვის, რომ ერმა შეძლოს არსებობის გაგრძელება უნდა მოახერხოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ღირებულებების შენარჩუნება. ამ შემთხვევაში უმთავრესი ხაზი ტერიტორიულ საზღვრებზე გადიოდა.

წინამდებარე ნაშრომში გავაანალიზებ ქართული იდენტობის ისტორიას მე-19 საუკუნის 50-60-იან წლებში. ამ თვალსაზრისით შევეხები ყირიმის ომსა და ქართული სამეფო-სამთავროების საკითხს. გამოკვლევის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები (აქტები 1884-1904) და ბეჭდური მედიის („კავკაზი“, „კავკაზსკი სბორნიკი“, „მოამბე“) მასალები.

ყირიმის ომსა და ქართული სამეფო-სამთავროების საკითხის კვლევას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. საგანგებოდ იქნა შესწავლილი ყირიმის ომი ე. ბურჭულაძის მიერ (ბურჭულაძე 1960). ნაშრომში მრავალრიცხოვან საარქივო მასალაზე და წყაროებზე დაყრდნობით წარმოჩენილია ქართველი ხალხის დამსახურება ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიერკავკასია-ოსმალეთის საომარი ასპარეზის მნიშვნელობა. ე. ბურჭულაძის ნაშრომი შ. ჩხეტიას მართებული შენიშვნით,

ომის ნაკლებად ან სრულიად შეუსწავლელ მხარეებს აშუქებს (ჩხეტია 1961: 186-189). თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის რეგულარულ არმიასთან ერთად, ქართველი ხალხის აქტიური მონაწილეობის საკითხს აანალიზებს გ. ავალიანი (ავალიანი 1969: 178-187) და ა. იოვიძეც (იოვიძე 1964: 266-475). ყირიმის ომის განხილვა წარმოდგენილია შ. ჩხეტიას ნაშრომში (ჩხეტია 1963: 123-263) და საქართველოს ისტორიის ნარკვევებში (ორჯონიკიძე 1970). შ. ჩხეტიას მიერვე იქნა შესწავლილი რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (ჩხეტია 1944: 1-115) და აფხაზეთის სამთავროს ისტორიის საარქივო მასალები (ჩხეტია 1963: 123-263).

მეთოდები

ნაშრომში ეთნოსიმბოლისტური მეთოდოლოგიით წარმოვაჩენ ყირიმის ომისა და ქართული სამეფო-სამთავროების საკითხის განხილვას. ამ თვალსაზრისით ვაკვირდები ქართველთა საზოგადოებრივ აღქმებს რუსეთ-ოსმალეთის ომთან მიმართებაში: როგორ აღიქვამდა ქართველობა იმპერიათა დაპირისპირებას ტერიტორიებისთვის, როგორ იქნა ჩაბმული ომში საქართველო, როგორც იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ან ტერიტორიული იდენტობის შენარჩუნების გზა, თუ ქართველთა მონაწილეობა რელიგიური ერთობით იყო განპირობებული. ასევე განვიხილავ დასავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცევის მტკივნეულ საკითხს.

შედეგები

ჩემი დაკვირვებით, ყირიმის ომში ქართული ლაშქარი რუსული რეგულარული არმიის დამხმარე ძალას კი არ წარმოადგენდა, არამედ ქართული ლაშქარი საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ხაზზე იყო მთავარი ძალა. ქართველი ხალხისთვის ეს იყო ბრძოლა თავისთავადობისათვის, თავისებური აღქმა ქართველთა ქართველობის შენარჩუნების რთულ გზაზე. ამ ბრძოლაში რუსეთის გვერდით დგომა თვითგადარჩენის გზად წარმოედგინა ქართველობას. აღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობეს კავ_ კასიის სამეფისნაცვლოს ტერიტორიის და საზღვრების ფორმირება და ცვლილებები. ყალიბდება ახალი პოლიტიკური და ადმინისტრაციული საზღვრები. ახალი იმპერიული საზღვრების ჩამოყალიბებამ, რომელიც მეტად მტკივნეული პროცესებით მიმდინარეობდა, შემდგომში განაპირობა მძლავრი ეროვნული და კულტურული ერთობის შექმნა.

მსჯელობა

ახალი იმპერიული საზღვრებისთვის ყირიმის ომის დაწყებას წინ უძღოდა სასაზღვრო პუნქტებში სამხედრო მობილიზაცია. ე. ბურჭულაძის მითითებით, ყარსთან იდგა 50 ათასიანი თურქული ჯარი 65 ზარბაზნით, არდაგანთან რაზმი 14 ზარბაზნით, ამდენივე შემადგენლობა ბაიაზეთთანაც, ხოლო ბათუმში 10 ათას კაციანი ნაწილები. თურქული კონტიგენტი ქურთებისა და მოხალისეთა შენაერთებით იყო გაძლიერებული (ბურჭულაძე 1960: 200). ამ დროს რუსულ ჯარში სამხედრო მობილიზაციის სისუსტე შეინიშნებოდა. კავკასიის მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი შიშობდა, რომ ვერ

გაუმკლავდებოდა რუსული ჯარი თურქეთის ძლიერ ფლოტს და რუსეთს მოუწევდა დაეტოვებინა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სიმაგრეები (ბერჟე 1885: 341). სასაზღვრო ზოლის გაძლიერების მიზნით იმპერატორ ნიკოლოზ I-მა გამოგზავნა მე-13 დივიზია (ბერჟე 1885: 760). თუმცა, როგორც ირკვევა, დიდად არ ცვლიდა დამატებითი ძალა სურათს სასაზღვრო ზოლის გამაგრების თვალსაზრისით.

თურქებმა სამხედრო მოქმედება დაიწყეს 1853 წლის 15 ოქტომბერს შეკვეთილის წმ. ნიკოლოზის საგუშაგოზე თავდასხმით, რომელიც მდებარეობდა გურიაში, მდ.ჩოლოქის შესართავთან. ომის გამოცხადებამდე შეკვეთილის საგუშაგოზე თავდასხმა რუსთა ჯარის დაქსაქსვით სასურველი შედეგის მიღებაზე იყო ორიენტირებული. ამიტომაც, მოკავშირეები მთელ იმედებს საომარი მოქმედებების სხვადასხვა მიმართულებით გაშლაზე ამყარებდნენ. გმირულად იბრძოლეს შეკვეთილის დამცველებმა. ქუთაისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი ალექსანდრე გაგარინი თავის ანგარიშში აღფრთოვანებას ვერ ფარავს გიორგი გურიელის სიმამაცეზე და თავგანწირვაზე. საგუშაგო მას შემდეგ დაეცა, რაც ტყვია-წამალი გამოელია მის დამცველებს (ბურჭულაძე 1960: 215).

ოსმალები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის გადასაბირებლად. დაშინების, მუქარის თუ სადამსჯელო ზომების მიუხედავად, კატეგორიულ უარს აცხადებდნენ ქობულეთელები თურქულ ჯარში მონაწილეობაზე. საპასუხოდ თურქები სასტიკად გაუსწორდნენ აჭარა-ქობულეთის მცხოვრებლებს. ფაშამ რეგულარულ ჯარებს უბრძანა გარს შემორტყმოდნენ მათ და ვინც უარს იტყოდა დაეხოცათ (ბურჭულაძე 1960: 216). გამარჯვებული თურქების სისასტიკე სუსტი ნებისყოფის ადამიანებზე მართალია მოქმედებდა, მაგრამ ძირითადი ნაწილი მაინც ერთგული რჩებოდა.

შეკვეთილის დაცემა საომარი მოქმედების გამოცოცხლების წინაპირობა გახდა.

რუსეთ-თურქეთის ომი ოფიციალურად 4 ნოემბერს გამოცხადდა. თურქებმა ალექსანდროპოლსა და ახალციხეზე მიიტანეს იერიში და ალყაში მოაქციეს ახალციხე. რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ახალციხის რაზმის სარდალი, გენერალ-მაიორი კოვალევსკი: მაჰმადიანმა მოსახლეობამ უღალატა, არ ჰყავდა მზვერავები, არ ჰქონდათ სურსათი. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი კოვალევსკი დახმარებისთვის მიმართავს მეფისნაცვალს მიაშველოს თბილისის სამხედრო გუბერნატორი გენ. ივანე ანდრონიკაშვილი ჯარით. ასეთ ვითარებაში, ახალციხის ბრძოლის ხელმძღვანელად დაინიშნა გენ. ი. ანდრონიკაშვილი და სასწრაფოდ გაიგზავნა დამხმარე ძალით. მიუხედავად იმისა, რომ მტრის ჯარი ორჯერ აღემატებოდა რუსთა ჯარს, გენ. ი. ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა შეტევა განეხორციელებინა. ქართველთა განწყობის და შემართების შესახებ ფრიად საყურადღებო ინფორმაციაა გაზეთ „კავკაზში“: „მე არ მჭირდება მათი სიტყვებით გამხნევება, მათი სიმამაცისა და გამბედაობისაკენ მოწოდება“, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისინი მზად არიან ბრძოლაში ჩასაბმელად („კავკაზი“ 1853. #87).

ახალციხესთან, ი. ანდრონიკაშვილის სარდლობით გმირული ბრძოლით აღფრთოვანებული „კავკაზი“ საგანგებო ბიოგრაფიას უძღვნის ი. ანდრონიკაშვილის სამაგალითო ღვაწლს („კავკაზი“ 1853. #92). ამავე გაზეთში, გენ. მამაცაშვილი მითითებით, მეფისნაცვალი ვორონცოვი „ზნეობითი ძალით“ დაჯილდოებულ მხედართმთავრად ასახელებდა ი. ანდრონიკაშვილს. თავის მხრივ, მოგონებების ავტორიც ვერ ფარავს აღტაცებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელოვან კვალს ტოვებს ისტორიაში („კავკაზი“ 1900. #242).

ამასობაში, ომში ინგლის-საფრანგეთი ჩაება და რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთი. იძულებული გახდა სასწრაფოდ გაეყვანა საჯარისო ნაწილები საქართველოდან და ბედის ანაბარა მიატოვა აქაურობა, სახალხო არმიის ამარა დარჩა გურია. ადგილობრივმა მოსახლეობამ გააცნობიერა საფრთხე და აისხა იარაღი საკუთარი სახლ-კარის დასაცავად. სახალხო ლაშქარს სათავეში შეკვეთილის ბრძოლის გმირის გიორგი გურიელის ძმა მალაქია გურიელი ჩაუდგა. რთულ ვითარებაში ახალციხე-ოზურგეთის რაზმების უფროსად ისევ ი. ანდრონიკაშვილი დაინიშნა („კავკაზსკი სბორნიკი“ 1907: 149-150). განსაცდელმა და შიშმა აქაური მოსახლეობის საერთო დარაზმულობა განაპირობა. ამ ფაქტში ვლინდება, ერთი მხრივ, მოსახლეობის განწყობა, მეორე მხრივ, მამულიშვილობის ნამდვილი მაგალითები.

თვალსაჩინოა ქართველთა აღქმები, განწყობა, დამოკიდებულება ომისადმი. ქართველთა მონაწილეობა საკუთარი მამა-პაპეული მამულის დაცვა-გადარჩენისათვის ბრძოლაში იძენს სახალხო ხასიათს და იდენტობის ტერიტორიული საზღვრების შენარჩუნების უმთავრეს პირობად იქცა.

განსაცდელმა ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებული აქტივობა განაპირობა, როგორც თავდაცვითი საქმიანობის, ასევე, მოხალისეთა შეკრების თვალსაზრისით („კავკაზი“ 1854. #2, #16). ქართულმა სახალხო ლაშქარმა პარტიზანული ბრძოლები გაუმართა თურქებს. ნიგოითთან სასტიკად დამარცხდა სელიმ-ფაშა, დატოვა ოზურგეთი, მდინარე ჩოლოქზე გადავიდა და გურიის საზღვართან დაბანაკდა. აქაც იკვეთება სახალხო ლაშქრის სახელოვან წარმომადგენელთა ღვაწლი. იმპერატორმა ქართველ ხალხს წმინდა გიორგის დროშა უბოძა რუსეთისადმი ერთგულებისათვის (ბერჟე 1885: 798-802).

ნიგოით-ჩოლოქის გამარჯვება საზღვრების შენარჩუნების გარანტი გახდა. ჩოლოქის სასაზღვრო ხაზზე ქართული მილიცია ჩადგა.

1855 წლის ივნისში რუსთა ლაშქარმა ყარსი ალყაში მოაქცია. ყარსიდან რუსეთის ჯარების გადაზიდვის მიზნით ოსმალთა სარდალმა სამეგრელოში დესანტი გადმოსხა. ოსმალთა ჯარების გადმოსხმა ბათუმში, ყულევსა და ტრაპიზონში გრძელდებოდა სექტემბერშიც. ხოლო 1856 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ომერ-ფაშამ 36 ათასიანი ლაშქარი გადასხა აფხაზეთში და დაიძრა სამეგრელოსკენ. ომერ-ფაშა აქედან 20 ათასიანი აფხაზთა და ჩერქეზთა ჯარის გამოყვანას, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის აღებას და თბილისისკენ გზის გახსნას ფიქრობდა, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ ანატოლია-არზრუმის მხრიდან გენ. ნ. მურავიოვის ლაშქართან შებმა

და ყარსის განთავისუფლება რთული იქნებოდა. რუსებს სამეგრელოს ტერიტორია სიმაგრეებით და ჯარით საიმედოდ არ ჰქონდათ გამაგრებული და ომერ-ფაშამ აფხაზეთ-სამეგრელო მალევე დაიკავა (ბერჟე 1888:38, 279; „კავკაზსკი სბორნიკი“ 1880: 268-270).

ომერ ფაშას შემოსევის შედეგად სადემარკაციო ხაზმა მდ. ენგურზე გადაიწია (ბერჟე 1888: 355). განსაცდელში ჩავარდნილი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დახმარება არანაირად შედიოდა გენ. ნ. მურავიოვის გეგმაში. იგი ფიქრობდა, რომ ომერ-ფაშა მნიშვნელოვან ნაბიჯებს არ გადადგამდა, არ გასცდებოდა სამეგრელოს. ამიტომაც ყარსის ალყის მოხსნას ან ჯარის ნაწილის აქეთ გამოგზავნას არ გეგმავდა (ბერჟე 1888: 132). შავი ზღვის სანაპირო ზოლი ბედის ანაბარა იყო დარჩენილი. ამასვე ადასტურებს მ. ბოგდანოვიჩის და კ. ბოროზდინის ცნობები (ბოგდანოვიჩი 1876; „მოამბე“ 1899: 10). 25 ოქტომბერს მომხდარი ენგურის ბრძოლაც (ბერჟე 1885: 107-110, 138, 197-199, 215-216) სახალხო გმირობის ისტორიით არის გამორჩეული. კ. ბოროზდინი კოკისა და კახათის ბრძოლებში იხსენიებს გმირულად დაღუპულ ზვანბაიას, იოსელიანს, კობელევსკის, დ. შარვაშიძეს. თავგანწირული ბრძოლების მიუხედავად, რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ძალებმა ნელ-ნელა დაიწყეს უკან დახევა. კ. ბოროზდინის მითითებით, ივანე მუხრან-ბატონს აზრადაც არ მოსვლია, რომ მდ. ენგურში გასვლის დროს წინააღმდეგობა გაეწია, მან მოულოდნელად დატოვა სამეგრელო და სამეგრელოს დედოფალ ეკატერინესაც ურჩევდა გადასულიყო იმერეთში, ვინაიდან სამეგრელოში მთავრის ოჯახის დარჩენა უსაფრთხო არ იქნებოდა. ეკატერინე დედოფალი, კ. ბოროზდინის გადმოცემით, აპირებდა მუხრან-ბატონის რჩევის შესრულებას, მაგრამ იგი შეაჩერა მასთან მისულმა განსვენებული მთავრის ძმამ კონსტანტინე დადიანმა და თავადაზნაურობამ. ისინი წინ აღუდგნენ დედოფლის გადაწყვეტილებას:

„მეტად ცხოველსა და საინტერესო სანახავს წარმოადგენდნენ ესენი ამ წუთას. მშვენიერი და დიდებულის სახის მოხუცნი მოწიწებით გამოვიდნენ წინ და დიდის კრძალვით, გარნა ენერგიულად მოახსენეს თავიანთს დედოფალს – ასე აღწერს კ.ბოროზდინი ხალხის დამოკიდებულებას დედოფლისადმი, – მართალია თავადი მუხრან-ბატონი დამარცხდა. რა ვუყოთ მერე! ვინ არ დამარცხებულა? მაგრამ საქმე ის არის, რომ იმას არ უნდა ხელმეორედ შეებას მტერს სამეგრელოში და ეჩქარება სამეგრელოდან იმერეთში გადავიდეს. ამით პირად ჩვენ გვაყენებს შეურაცხყოფას. იმისათვის ვიღაცას უთქვამს, რომ მილიცია დაიქსაქსაო, – მაგრამ ეს ცილისწამებაა; შეიძლება, რამდენიმე კაცი გაიქცა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც ყველანი ჩვენ-ჩვენს სახლებში დავმალულიყვეთ! ჩვენც გვიომნია, ვომობთ და ვიომებთ რუსის მეფისათვის; რუსები და ჩვენ ერთმორწმუნენი ვართ, თურქთა სარწმუნოება ჭირივით გვძულს და არც გვინდა ბატონად ოსმალეთი გვყავდეს; კარგად გვახსოვს სიტკბო-სიმწარე. სანამ სული გვიდგას, შევიძლებთ მხარი მივსცეთ და ოსმალთაგან დავიფაროთ ჩვენი მთავარი და საქმით დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ტყუილადა გვწამებდნენ მუხანათობას. შენა და მთავარი იმერეთში არ უნდა წახვიდეთ, ჩვენ ყველანი გთხოვთ, ეს არა ჰქნა და რაც მოგივა, ჩვენი ბრალი იქნება“... ისე

შეშინებულხართ, რომ ყველანი დაგვიწყებივართ. მუხრან-ბატონმა თავი გაგვანება; შენ კიდევ მთავარს გვაშორებ; მაშინ რაღა ვქნათ ჩვენ? მუხრან-ბატონის დაჭერა არ შეგვეძლო, მაგრამ მთავარს კი არსად გავუშვებთ". ამის შემდეგ იქ მისულებმა ჯვარზე და სახარებაზე ყველამ სათითაოდ შეჰფიცეს ერთგულება. დედოფალი გადაწყვეტს არ გაემგზავროს იმერეთში „მართალია, მუხრანბატონმა მომწერა, მეგრელები ილტვნენო, მუხანათურად მოიქცნენო, მაგრამ იმავე მეგრელების საუკეთესო წარმომადგენლებმა ახლა არ შემომფიცეს, თქვენის შვილისთვის თავს დავდებთო! არა, აქ ადგილი არა აქვს შიშს, მეცა და ჩემი შვილიც უზრუნველყოფილნი ვართ!" („მოამბე" 1899. #5).

ამ ეპიზოდში თვალნათლივ ჩანს, რომ თურქთა სიძულვილი განაპირობებდა რუსთა გვერდით დგომას. ამ სიძულვილის მიზეზად რელიგიური განსხვავება სახელდება.

თავის მხრივ, ომერ-ფაშაც ცდილობდა დედოფლის გადაბირებას და ირწმუნებოდა, რომ მათი სურვილია ბოლო მოუღონ რუსეთის დაპყრობით ომებს, რომ ისინი არ შეეხებიან სამეგრელოს მართვა-გამგეობას. ომერ-ფაშა თხოვდა დედოფალს სასახლეში დაბრუნებას და სამეგრელოს მართვა-გამგეობის ჩაბარებას („მოამბე" 1899. #5).

მოსახლეობის გადაბირების სხვა არაერთი ფაქტი ფიქსირდება მედიაში. გადაბირებულებს შორის სახელდება რუსეთის მხედრობის გენერალ-ლეიტენანტი კაცი მარღანია, რომელიც ოსმალების მხარეს გადასულიყო და ოსმალებს სამურზაყანოს ფაშად დაუნიშნავთ. კაცი მარღანიას შეუკრებია სამურზაყანოელები და ოსმალთა ქვეშევრდომობა გამოუცხადებია. კ. ბოროზდინი ოსმალთა მომხრედ ასახელებს აფხაზთა მთავარს მიხეილ შარვაშიძეს (ჰამუთბეი). ამსაკითხსქვემოთგანვიხილავ. პირადიკეთილდღეობის მოპოვების მიზნით, კ. ბოროზდინისვე მითითებით, დაუახლოვდა ფაშას სამეგრელოს მთავრის ვექილი გიორგი ჩიჩუა, რომელიც ავკაცობის გამო ყოფილა გამოქცეული თბილისიდან. ფაშასგან მეჯიდიეს ორდენი და ბეის ტიტული მიუღია. პირადი მტერობით ომერ ფაშას ორი რუსი მზვერავი იუნკერი მესხიშვილი და მილიციის პორუჩიკი ზარანოვი დააჭერინა და დაახვრეტინა („მოამბე" 1899. #5). აქ მინდა ყურადღება გავამახვილო იმ გარემოებაზე, რომ ქართველ მეომარს, რომელიც რუსეთის სამსახურში იყო ჩამდგარი კ. ბოროზდინი რუსად ასახელებს, შლის იდენტობას.

თურქეთის აგენტები აქტიურად მუშაობდნენ და უხვად იძლეოდნენ დაპირებებს გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში (ბერჟე 1888: 355). ქართველების თურქების მხარეზე გადაბირებით გამორჩეული ყოფილა სულთნის აგენტი ალიბეი თავდგირიძე. ა.თავდგირიძეს უცდია მალაქია გურიელის თურქების მომხრეთა ბანაკში გადაყვანა, საამისოდ გურიელი მაღალი პორტასგან გურიის მთავრის ღირსების მიღებას ჰპირდებოდა. ამ შემოთავაზებას მ. გურიელი არგუმენტირებული უარით პასუხობს. აღნიშნავს, რომ სახელწიფოს სიძლიერე შეადგენს მისი მოსახლეობის ერთგვარობა, ჯარი, ხაზინა, ბუნებრივი სიმდიდრე, სახალხო განათლება და ადათი. ამ სახელმწიფოებრივი ნიშნების შედარებითი ანალიზით თურქეთის უსუსურობას უსვამს ხაზს. ახსენებს ქობულეთელებს, რომ

ერთგვარობა აკავშირებთ, რომ 300 წლის წინ თურქმა დამპყრობლებმა აიძულეს ისლამი მიეღოთ, ურჩევს „ჩოლოქს იქით მცხოვრებ მოძმეებს, ერთხელ და სამუდამოდ გაწყვიტონ კავშირი სულთანის თურქეთთან და დაუბრუნდნენ რუსეთის მფარველობას“ (ჩხეტია 1963: 158).

ამ უმძიმეს პერიოდში, ფსიქოლოგიური ზეწოლით თურქებმა შეძლეს თავადაზნაურების ნაწილის მოსყიდვა და გადაბირება, თუმცა, ამ ფაქტს დაუპირისპირდა ქვეყნისადმი ერთგულებით და სიყვარულით გამსჭვალული უბრალო ხალხის ერთობა. ქართული სახალხო ლაშქრის გვერდით დადგა ეკატერინე დედოფალი. აღნიშნულმა ფაქტმა დადებითი გავლენა მოახდინა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ქართულმა მილიციამ თურქებს პარტიზანული ბრძოლები გაუმართა. ზუგდიდში შეიპყრეს ოსმალთა ჯარი. ამით განრისხებულმა სარდალმა ისკანდერ-ფაშამ მთავრის სასახლე გადაწვა და ბაღი გაანადგურა (ბერჟე 1888: 149, 161-162). დედოფალს ომერ-ფაშას მიერ სამეგრელოს აღებისას გამოჩენილი დამსახურებისთვის, რუს ისტორიულ პიროვნებას უწოდებს კ. ბოროზდინი („მოამბე“ 1899. #6). ამ ეპიზოდში ერთ მხარეს დგას ხალხი თავისი თავისთავადობით, მეორე მხარეს იმპერიის მოხელე, რომელიც როგორი სიმპათიითაც არ უნდა ყოფილიყო გამსჭვალული დედოფლისადმი, მიუხედავად ამისა, ის ამ მხარეს რუსეთის საქართველოდ აღიქვამს. შლის ამ ხალხის თავისთავადობას და ქმნის იმპერიულ ნარატივს.

1856 წლის 18 მარტს გაფორმდა საზავო ხელშეკრულება. ხელშეკრულებით ერთმანეთისთვის უნდა დაებრუნებინათ დაპყრობილი ტერიტორიები. მე-3 მუხლით რუსეთს უნდა დაებრუნებინა ყარსი. მე-4 მუხლით რუსეთს დაუბრუნდა ყირიმში დაკარგული ქალაქები, სამეგრელოს ნაწილი (ყულევი) და აფხაზეთი. მე-11 მუხლით შავი ზღვა გამოცხადდა ნეიტრალურად და მისი პორტები ღია გახდა ყველა სახელმწიფოსათვის (გურული, ჯიქია 2015: 23-24).

ომის დამთავრების შემდეგ კავკასიაში გამოიგზავნა ახალი მეფისნაცვალი ა. ბარიატინსკი, რომელსაც იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაავალა „კავკასიის დამშვიდება-დამორჩილება და მისი შერწყმა იმპერიის დანარჩენ ნაწილებთან?“ ამ დროისათვის, კავკასიაში შემავალ სხვადასხვა ქვეყნებს შორის, მხოლოდ აფხაზეთსა და სამეგრელოში იყო ადგილობრივი მმართველობა (ბერჟე 1904: 365). გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა აფხაზეთი 1864 წლამდე და სამეგრელო 1867 წლამდე.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა სამხედრო ექსპედიციები და კავკასიის დამორჩილების მთავარ საშუალებად სამხედრო კოლონიზაცია მიიჩნია. ტერიტორიული კოლონიზაცია ეთნიკური სურათის ცვლილებით დაიწყო, რასაც ახორციელებდა „უცხო“ იდენტობის, კაზაკების და სხვათა მეშვეობით. ამ საკითხს ვეხები ჩემს ადრინდელ მონოგრაფიაში „აფხაზეთი და ქართული იდენტობა“ (დაინტერესებულ პირებს უფრო ვრცლად შეუძლიათ იხილონ მანია 2021).

რუსეთის ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოს ათვისება დაიწყო მმართველობის უნიფიკაციით. საამისოდ უპირველესად უნდა გადაწყვეტილიყო ცალკეული პოლიტიკური ერთეულების საკითხი. მხო-

ლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა ამ საქმის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. სამეგრელოს შემოერთების ხელსაყრელ მომენტად რუსეთის მთავრობამ 1857 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყება მიიჩნია. ომერ-ფაშას შემოსევით აოხრებული სამეგრელოს აღდგენა გლეხობას მძიმე ტვირთად დააწვა; ამ ნიადაგზე მოხდა სამეგრელოში გლეხთა აჯანყება. ეკატერინე დადიანმა აჯანყების ჩასახშობად დახმარება რუსეთის ხელისუფლებას სთხოვა. ეკატერინე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს კოლუბიაკინს სწერდა, თუ დაუმორჩილებლობა გაგრძელდებოდა ძალისმიერი მეთოდებით დაეშინებინათ ამბოხებულები. მისივე რჩევით, ხელისუფლებას მოსახლეობაში შიშის დასანერგად უნდა ჩაესახლებინა დონის კაზაკები, რომლებსაც დედოფლის მითითებით უნდა ემოქმედათ (ბერჟე 1904: 252). ეკატერინე დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის ხელისუფლება მას აჯანყებული სამთავროს დამორჩილებაში დაეხმარებოდა.

მართალია, ერთგულებისა და დამსახურებისათვის ალექსანდრე II-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალზე პეტერბურგში განსაკუთრებული პატივით მიიღეს და წმ. გიორგის მედლითაც კი დააჯილდოვეს, მაგრამ აჯანყების ჩასაქრობად გადამწყვეტი ზომების მიღებას აჭიანურებდნენ. პირიქით, რუსი გენერლები აჯანყების გახანგრძლივებას უწყობდნენ ხელს, რათა მმართველთა წინააღმდეგ ხალხის უკმაყოფილება გამოეყენებინათ ავტონომიის გაუქმების საბაბად. ვითომ აჯანყების ჩაქრობის საბაბით მეფისნაცვალ ა. ბარიატინსკის გადაწყვეტილებით, სამეგრელოს მაზრებში გამოგზავნილ რუს ოფიცრებს დავალებული ჰქონდათ სამეგრელოში ახალი მმართველობის შემოღებისთვის ნიადაგის მომზადება (ბერჟე 1904: 269, 275). ამავე მიზნით გამოგზავნილ რუს მოხელე ი. დიუკრუასთან საჩივრების აღძვრის უფლებას რუსეთის ხელისუფლება სამეგრელოს მთავრის მოქმედებით უკმაყოფილო თავად-აზნაურობასაც აძლევდა. ამ ფაქტს იყენებდა რუსეთის ხელისუფლება დედოფლის საწინააღმდეგოდ და თავისი მიზნების განსახორციელებლად. სწორედ, ი. დიუკრუასი დედოფალს სამეგრელოში არსებულ უკანონობებზე მიუთითებდა და აღნიშნავდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს ძლევამოსილების გამოყენება არ შეიძლება ისეთი ხელისუფლების დასახმარებლად, რომელიც თავის ქვეშევრდომებს ჩაგრავს (ბერჟე 1904: 291-292). სამეგრელოს დამშვიდება და აქ წესრიგის დამყარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ეკატერინეს აქედან წასვლის შემთხვევაში.

ი. დიუკრუასის სამეგრელოში გაგზავნის პარალელურად, ა. ბარიატინსკი იმპერატორს აცნობებდა, რომ სამეგრელოს აჯანყების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის უვარგისობა იყო, რომ ეკატერინემ ვერ შეძლო სამეგრელოში წესრიგის დამყარება (ბერჟე 1904: 265). მეფისნაცვალი იმპერატორს სთხოვდა მისთვის ნება დაერთოთ გარემოების შესაფერისად ემოქმედა. 1857 წლის 31 ივლისს მეფისნაცვალმა იმპერატორისაგან სამეგრელოს მმართველობის რეორგანიზაციის ნებართვა მიიღო. რუსეთის ხელისუფლებამ, რაკი ვერ მოახერხა ეკატერინეს სამეგრელოდან ნებაყოფლობით გაყვანა, მას სამთავროს სამემკვიდრეო უფლებების შენარჩუნების გარანტია მისცა. სამეგრელოში შემოღებული

ახალი მმართველობა დროებით, მემკვიდრის სრულწლოვანებამდე ცხად_ დებოდა, ხოლო ეკატერინეს და მის შვილებს იმპერატორი პეტერბურგში საცხოვრებლად იწვევდა, რათა შესაფერისი აღზრდა მიეცათ „მომავალი მთავრისათვის“ („დროება“ 1885. #104, #105; ბერჟე 1904: 316).

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება რუსეთის მასშტაბით იმ რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთ გამოვლინება იყო, რომელმაც აიძულა ალექსანდრე მეორის მთავრობა გლეხთა ზევიდან განთავისუფლებაზე ეფიქრა, რათა მისი ტახტი და მისი სახელმწიფო „ქვევიდან“ არ აფეთქებულიყო. ესაა ამ აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა (ხანთაძე 1957: 98-103). ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას აჯანყება განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახდა როგორც იმპერიის ტერიტორიული გაფართოების, ასევე მმართველობის უნიფიკაციის თვალსაზრისით.

1857 წლის 8 სექტემბრის ა. ბარიატინსკის დებულებით სამეგრელოში რუსული მმართველობა იქნა შემოღებული. 26 სექტემბრის რესკრიპტით კი სამეგრელოს „დროებით“ მმართველად გენ. კოლუბიაკინი დაინიშნა (ბერჟე 1884: 308, 311), ამით ფაქტობრივად გაუქმდა სამეგრელოს ავტონომია. 1867 წელს კი 20 წლის ნიკოლოზ დადიანმა სამთავრო უფლებებზე უარი განაცხადა და სამეგრელოში რუსული მმართველობა საბოლოოდ დამყარდა.

„ისტორიულად შექმნილი კატეგორიები სამეგრელოის მაღალის წოდებისა ყველანი განურჩევლად რუსეთის აზნაურობასთან გავათანასწორეთ უფლებებითა. ამასთანავე, ბატონიშვილისა და თავადიშვილის ტიტულის მაგიერ რუსის თავადის ტიტული შემოვიღეთ. ინგლისელებს აზრათაც არ მოსვლიათ ინდოელი მაღარაჯები და რაჯები ლორდებად და ბარონეტებად გაეხადნათ; მაგრამ რუსეთს აზრადა აქვს ყველა შემოერთებულნი ხალხნი აღმოსავლეთის ქვეყნებისა გაარუსოს, ის უფლებანი მიანიჭოს, რაც ნამდვილ რუსსა აქვს შიდა რუსეთში“ – აცხადებს რუსი მოხელე კ. ბოროზდინი („მოამბე“ 1898: 133).

წოდებათა გათანასწორების პროცესი ჩვენში იდენტობის წაშლის ტოლფასი გახდა. რუსი მოხელე ამას სიკეთედ უცხადებს ქართველობას.

სამეგრელოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ რუსეთის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სვანეთის დამორჩილება. სვანეთს ცენტრალური მდებარეობა ეკავა ყაბარდოს, ყარაჩაის, წებელდასა და სამურზაყანოს შორის და აქ რუსეთის გავლენის გაძლიერებას მთელ დასავლეთ კავკასიაში მისი ბატონობის განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. სვანეთი თავისი მიუვალობის გამო ყოველთვის შეიძლებოდა გამხდარიყო ცარიზმით უკმაყოფილოთა თავშესაფარიც. ამიტომ სვანეთის რომელიმე მთავრის დამოუკიდებლობისადმი სწრაფვას რუსეთი ადვილად ვერ შეურიგდებოდა.

რუსეთის ხელისუფლებამ სვანეთის სამთავროს გასაუქმებლად ხელსაყრელ მომენტად სვანეთში გაჩაღებული შინა ფეოდალური ბრძოლა გამოიყენა. დადეშქელიანების ორი შტო სვანეთში განუყოფელი ბატონობისათვის ერთმანეთს ებრძოდა. 1857 წლის ივლისში ა. ბარიატინსკის ბრძანებით რუსის ჯარი შევიდა პოლკოვნიკ უსლარის ხელმძღვანელობით, რომელმაც კონსტანტინე დადეშქელიანის საწინაღმდეგო მასალები მოაგროვა

სვანეთში და წარუდგინა მეფისნაცვალს. მეფისნაცვალმა კონსტანტინეს ერევანში გადასახლება გადაუწყვიტა. კონსტანტინემ დამცირება ვერ აიტანა და ხანჯლით მოკლა გაგარინი, საგანგებო დავალებათა მოხელე ილინი და თარჯიმანი არდიშვილი. კონსტანტინე დადეშქელიანი შეპყრეს და დახვრიტეს („დროება“ 1884. #27; ბერჟე 1904: 504). 1859 წლის დასაწყისში ა. ბარიატინსკის ბრძანებით სვანეთში საბოქაულო დაწესდა (ბერჟე 1904: 92).

სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ, აფხაზეთის ჯერი დადგა. რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად წარმოებული ომის დროს აფხაზეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი ესაზღვრებოდა ურჩ ჩერქეზეთის მიწა-წყალს; ეს იყო ერთადერთი გზა, საიდანაც დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომებს შეეძლოთ საქართველოში შემოჭრა და პირიქით ჩერქეზეთში რუსული გავლენის გაძლიერება აფხაზეთის საშუალებით უნდა მომხდარიყო. აფხაზეთის დაკარგვის შემთხვევაში სამხედრო საზღვარი მდინარე ენგურზე გადმოინაცვლებდა და საჭირო გახდებოდა ამ მდინარის მთელ სიგრძეზე სამხედრო-საკორდონო ხაზის აგება, რაც რიგ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული.

ჯერ კიდევ, 1856 წელს მურავიოვმა დასვა საკითხი აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ. იგი მთავარს მიხეილ შარვაშიძეს – ყირიმის ომის დროს - „ღალატს“ სწამებდა.

რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისში მიხეილ შარვაშიძემ დიდი სამსახური გაუწია რუსეთის მთავრობას და უდანაკარგოდ გამოიყვანა აფხაზეთიდან რუსული გარნიზონები. რუსის ჯართან ერთად მან თავისი ოჯახიც გახიზნა სამეგრელოში, მაგრამ ომის შემდგომი მსვლელობა – შავ ზღვაზე მოკავშირეთა ფლოტის გაბატონება, აფხაზეთში ოსმალთა ჯარის გადასხმა და სხვ. – მას აიძულებდა თავის სამთავრო სახლის ინტერესებისათვის ეზრუნა და 1855 წელს მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში დაბრუნდა (ჩხეტია 1963: 123-263). მის პოზიციებს ორჭოფობა ეტყობოდა. ნ. მურავიოვი აღნიშნავდა შარვაშიძის ორპირობას და მიუთითებდა, რომ ეს ორპირობა განპირობებული იყო იმ გარემოებით თუ რომელი მხარე მოიპოვებდა გამარჯვებას. სამართლიანად შენიშნავდა, რომ მას ამოძრავებდა თავისი სამფლობელოს შენარჩუნება (ბერჟე 1888: 53). ამ საქმეში დამბეზღებლებმა თავისი როლი შეასრულეს და ღალატში დასდეს ბრალი მთავარს. თუმცა, ხელისუფლების ხელთ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები აღმოჩნდა, რაც მთავრის დადანაშაულებაში ხელს უშლიდათ. სინამდვილის გამოსარკვევად დამატებითი ცნობების შეგროვება გენ. ვ. ბებუთოვის წინადადებით, დაავალეს კეთილსინდისიერებით გამორჩეულ პირს, დ. ყიფიანს. დ. ყიფიანმა შეძლო დამატებით ობიექტური ცნობების მოგროვება სწორი დასკვნის გამოსატანად. მან შეძლო მოეპოვებინა მიხეილ შარვაშიძის მეუღლის ალექსანდრასა და მისი მამის გიორგი დადიანისაგან საიდუმლო მიმოწერა მიხეილ შარვაშიძესთან და სხვა პირებთან, საიდანაც კარგად ჩანს მიხეილ შარვაშიძის უდანაშაულობა (ჩხეტია 1963: 133). მაგრამ დ. ყიფიანის ნარკვევი მეფისნაცვალმა ნ. მურავიოვმა შეაფასა როგორც მიხეილ შარვაშიძის გამართლება და ვ. ბებუთოვისგან მოითხოვდა დამატებით საკუთარი მოსაზრების წარმოდგენას. ვ. ბებუთოვსაც გაუჭირდა მიხეილ შარვაშიძის გამტყუვნება.

მიხეილ შარვაშიძის ორჭოფობა, რომელიც „ღალატად“ ჩაუთვალეს რუსმა მოხელეებმა, გამოწვეული იყო არსებული გაურკვეველი მდგომარეობით, პოლიტიკური ანგარიშით, რომელიც მას უკარნახებდა აჩქარებული და წინდაუხედავი ნაბიჯებისაგან თავი შეეკავებინა (ჩხეტია 1963: 133).

მიუხედავად, ნ. მურავიოვის დიდი მონდომებისა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთის და წებელდის დაპყრობას კავკასიის დაუფლებისათვის, ვერ მოხერხდა მიხეილ შარვაშიძის დადა_ ნაშაულება ღალატში. ხელისუფლება მის დასჯასაც ვერ ბედავდა მთიელების ამხედრების მიზეზით, ვინაიდან ამ მხრივ ზიანის მოტანა შეეძლო რუსეთის ხელისუფლებისათვის (ბერჟე 1888: 53).

ამდენად, აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის საბოლოოდ დამორჩილებამდე გადაიდო (ბერჟე 1904: 93) და მიხეილ შარვაშიძეს პარიზის ზავით გადაეცა რუსეთისთვის დაბრუნებული ციხეები აფხაზეთში. აფხაზეთის ქალაქებში რუსული ჯარი ჩადგა, მხოლოდ სამურზაყანო ჩამორთმეული ჰქონდა.

რუსეთის სამსახურში მყოფი აგენტები აფხაზეთის მთავრის ნაბიჯებს მუდმივად აკონტროლებდნენ, როგორც ჩანს, რუსი ხელისუფალნი ჯერ კიდევ ძლიერ მოწინააღმდეგედ მიჩნევდნენ, რაც დასტურდება მასთან მიმოწერისას გამოჩენილი სიფრთხილით. ამის მაგალითად სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელდა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის, კარცოვის კორესპონდენცია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკისა და მიხეილ შერვაშიძისადმი. ორივე წერილი ეხება გიორგი შერვაშიძის აფხაზეთში დაბრუნების საკითხს; რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლება აღარ აპირებდა სამთავროს ტახტზე გიორგი შერვაშიძის დამტკიცებას, მაგრამ როგორც ჩანს, ამის შესახებ პირდაპირ განცხადებას ერიდებოდა (მიქიაშვილი 2014: 257-282).

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ, მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა, მეფისნაცვალი აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას თხოულობდა. მეფისნაცვალი აფხაზეთის მთავრის უფლებების ლიკვიდაციას განსაკუთრებით იმიტომაც ჩქარობდა, რომ სისრულეში მოეყვანა უმაღლესი მთავრობის მიერ მოწონებული განზრახვა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მდინარე ყუბანის შესართავთან ბზიფამდე, ყაზახ-რუსებით დასახლების შესახებ. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ იგი ყაზახთა ასეთი დასახლებების მოწყობას ვარაუდობდა მდინარე ბზიფსა და ენგურს შორისაც (ესაძე 1907:220).

1864 წლის ივნისში მიხეილ შარვაშიძემ ნებაყოფლობით განაცხადა უარი მთავრის ხელისუფლებაზე, ვინაიდან ხედავდა, რომ ურჩობით არაფერი გაუვიდოდა. შემოღებულ იქნა „დროებითი სახალხო მმართველობა“. მეფის ხელისუფლება მიხეილის აფხაზეთში დატოვებას საშიშად თვლიდა, იგი ნებაყოფლობით აქედან წასვლის წინააღმდეგი იყო. ასეთი შინაარსის წერილებს აგზავნის მეფისნაცვალი პეტერბურგში:

„რას ვებოდიშებით აფხაზეთის მთავარს, რა ღონის პატრონი ის არის, რომ ძალა გაგვიწიოს; უნდა აფხაზეთს მოვაშოროთ და ჩვენებური წესწყობილება შემოვიღოთ ამ მხარეშიაცო. მით უფრო, რომ ეს მხარე მოღალატეა, უნდო ხალხით არის დასახლებულიო“ („ცნობის ფურცელი“ 1903. №2356).

მიხეილ შარვაშიძეს „სახელმწიფო ღალატი“ (თურქეთთან ურთიერთობა) დასწამეს და 1864 წლის ნოემბერში ავადმყოფი მთავარი ჯერ სტავროპოლში, ხოლო შემდეგ ვორონეჟში გადაასახლეს. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი 1865 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა.

1863 წელს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის გადასახლების შემდეგ, 1864 წელს 10 ივლისს აფხაზეთში რუსული მართვა-გამგეობა იქნა გამოცხადებული, რაც აფხაზებს სოხუმის სამხედრო ნაწილის უფროსმა პოლკოვნიკ კონიარმა ამცნო: „ბატონყმობა უნდა გადავარდეს აფხაზეთში, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში მოხდაო, მიწები სახელმწიფოდ უნდა გადავიდესო“. ამბოხება ლიხნში დაიწყო. ამბოხებულებმა დახოცეს პოლკოვნიკი კონიარი და რუსთა ჯარი („ცნობის ფრუცელი“ 1903. №2356). კონიართან ერთად, აჯანყებულებს ს. სოექსუს მოუკლავთ ბზიფის მაზრის დროებითი ნაჩალნიკი, კაპიტანი იზმაილოვი და მთავრობისგან ინფორმაციის შესაგროვებლად გამოგზავნილი ჩერეპოვი. ამბოხება მარცხით დასრულდა. ამბოხებაში მონაწილეობა მიუღია სოხუმის და ბზიფის მაზრის რამდენიმე სოფელს. მათ შორის, წებელდაც ამბოხებულა და წებელდის სიმაგრის აღება უცდია ამბოხებულებს, მაგრამ ციხის გარნიზონს მედგარი წინააღმდეგობა გაუწევია („დროება“ 1966. №28). დამარცხებულები რუსეთის ხელისუფლებას უნდა დამორჩილებოდნენ. აქაურმა, დალის ხეობის მოსახლეობამ ოსმალეთში გადასახლება არჩია („ცნობის ფურცელი“ 1902. №1846). მთავარმართებლის თანაშემწის მირსკის ბრძანებით გადაწვეს მთავრის სასახლე: „უზარმაზარი ქვითკირის შენობისა კედლებიღაა დარჩენილი, აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოწამედ. და დღეს არა, ხვალ ისიც დაინგრევა. მოწმედვეა მრავალწლოვანი ცაცხვები, მათს ქვეშ დადგმული ფიქალი და ტრიალი მინდორი. დაიმარხა ძალა აფხაზთა და ეს, ერთს დროს ძლიერი, ხალხი დასუსტებულია და თითქმის გამქრალი“ („ცნობის ფურცელი“ 1903. №2356).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ავტორი ახდენს მკითხველებში ისტორიული მეხსიერების ადგილების კრისტალიზაციას. ამგვარი საუბრებით მედია მკითხველებში ააქტიურებდა ისტორიულ ხსოვნას და ხელს უწყობდა იდენტობის შენარჩუნებას.

აფხაზეთის სამთავროს შეერთებით დასრულდა დასავლეთ საქართველოს იმპერიული საზღვრების განსაზღვრა.

დასკვნა

ამრიგად, ზემოთ განხილულ მასალაზე დაკვირვებით დგინდება, რომ 1853-1856 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი ქართველი ხალხისთვის იყო ბრძოლა თავისთავადობისათვის, იდენტობის გადარჩენისათვის ბრძოლის თავისებური აღქმა ქართველობის შენარჩუნების რთულ გზაზე. ამ ბრძოლაში რუსეთის გვერდით დგომა თვითგადარჩენის გზად წარმოედგინა ქართველობის ნაწილს, რომელთაც რელიგიური ერთობა იდენტობის შენარჩუნების ტოლფასი ეგონა. თუმცა, რელიგიური ერთობა, როგორც ვნახეთ, ვერ გახდა იდენტობის შენარჩუნების გარანტი.

1853-1856 წლების ყირიმის ომმა ასახვა ჰპოვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: დემოგრაფიულ, ადმინისტრაციულ, რელიგიურ, კულტურულ თუ კოლონიურ პროცესებში. აღნიშნულმა მოვლენებმა განაპირობეს კავკასიის სამეფისნაცვლოს ტერიტორიის და საზღვრების ფორმირება და ცვლილებები. ყალიბდება ახალი პოლიტიკური და ადმინისტრაციული საზღვრები. ახალი იმპერიული საზღვრების ჩამოყალიბებამ, რომელიც მეტად მტკივნეული პროცესებით მიმდინარეობდა, განაპირობა მძლავრი ეროვნული და კულტურული ერთობის შექმნა და თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის განსაკუთრებული ეტაპი, რამაც დამოუკიდებლობამდე მიიყვანა ქართველი ხალხი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

avaliani, g. (1969). rusi da kartveli khalkhis sabrdzolo tanamegobrobis asakhva sakartvelos presashi. *literaturuli urtiertobani.* № 2. tbilisi. (ავალიანი, გ. (1969). რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის ასახვა საქართველოს პრესაში. *ლიტერატურული ურთიერთობანი.* № 2. თბილისი).

Akti sobrannie kavkazskoi arkheografichesskoi komissiei. (1884). IX. Izdan pod redaktsiei Ad. Berzhe. (Акты собранные кавказской археографической комиссией. (1884). IX. Издан под редакциейю председателя комиссии д.с.с. Ад. Берже. Тифлис.).

Akti sobrannie kavkazskoi arkheografichesskoi komissiei. (1885). X. Izdan pod redaktsiei Ad. Berzhe. (Акты собранные кавказской археографической комиссией. (1885). X. Издан под редакциейю председателя комиссии д.с.с. Ад. Берже. Тифлис.).

Akti sobrannie kavkazskoi arkheografichesskoi komissiei. (1888). XI. Izdan pod redaktsiei Ad. Berzhe. (Акты собранные кавказской археографической комиссией. (1888). XI. Издан под редакциейю председателя комиссии д.с.с. Ад. Берже. Тифлис.).

Akti sobrannie kavkazskoi arkheografichesskoi komissiei. (1904). XII. Izdan pod redaktsiei Ad. Berzhe. (Акты собранные кавказской археографической комиссией. (1904). XII. Издан под редакциейю председателя комиссии д.с.с. Ад. Берже. Тифлис.).

Bogdanovich, M. (1976). *Vostochnaia Voina 1853-1856 gg.* SPB. (Богданович, М. (1976). *Восточная война 1853-1856 гг.* СПБ).

burchuladze, e. (1960). *qirimis omi da sakartvelo.* tbilisi:gamomtsemloba "sabchota saqartvelo". (ბურჭულაძე, ე. (1960). *ყირიმის ომი და საქართველო.* თბილისი. საბჭოთა საქართველო).

guruli, v. jiqia, l. (2015). saqartvelos istoriuli teritoria ruset-osmaletis (turqetis) omebsa da zavebshi (1695-1953). tbilisi. (გურული, ვ. ჯიქია, ლ. (2015). საქართველოს ისტორიული ტერიტორია რუსეთ-ოსმალეთის (თურქეთის) ომებსა და ზავებში. თბილისი.).

Esadze, S. (1907). *Istoricheskaia zapiska ob upravlenii Kavkazom.* T. 1. Sostavil Redactor Voenno-Istoricheskogo Otdela Okrujnogo shtaba Semen Esadze. Tiflis. (Эсадзе, С. (1907). *Историческая записка об управленый Кавказом.* Т.1. Составил Редактор Военно-Исторического Отдела Окружного штаба Семен Эсадзе. Тифлис.).

iovidze, a. chkhetia, sh. (1963). rus-qartvelta tanamegobrobis istoriisatvis (1783-1856 tsts. sabutebisa da masalebis publikacia). *saistorio moambe.* t.17-18, Tbilisi. (იოვიძე, ა., ჩხეტია შ. (1963). რუს-ქართველთა თანამეგობრობის ისტორიისათვის (1783-1856 წწ. საბუთებისა და მასალების პუბლიკაცია). *საისტორიო მოამბე.* ტ.17-18. თბილისი.).

Kavkazskii sbornik. (1907). XXVI. (Кавказский сборник. (1907). XXVI).

mania, k. (2021). *afkhazeti da qartuli identoba.* tbilisi: gamomtsemloba "meridiani". (მანია, ქ. (1907). *აფხაზეთი და ქართული იდენტობა.* თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი").

miqiashvili, l. (2014). masalebi apkhazetis ukanaskneli mtavris – mixkheil Shervashidzis pirovnuli da sazogadoebriv-politikuri portretistvis. *axali da uaxlesi istoriis sakitkhebi.* № 1. tbilisi: gamomtsemloba "universali". (მიქიაშვილი, ლ. (2014). მასალები აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის – მიხეილ შერვაშიძის პიროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პორტრეტისთვის. *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები.* № 1. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი".).

orjonikidze, e. (1970). qirimis omi. *saqartvelos istoriis narkvevebi.* t.V. tbilisi. (ორჯონიკიძე, ე. (1970). ყირიმის ომი. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ.V, თბილისი.).

Russkii archiv. (1888). № 69. (Русский архив. (1888). № 69).

chetia, sh. (1944). mmartvelobis sistema sakartveloshi. *saqartvelos saxelmwipo muzeumis moambe.* № XII. tbilisi. (ჩხეტია, შ. (1944). მმართველობის სისტემა საქართველოში. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.* № XII, თბილისი).

chetia, sh. (1961). qirimis omi da saqartvelo. zhurnali "*mnatobi*". № 6. tbilisi. (ჩხეტია, შ. (1961). ყირიმის ომი და საქართველო. *მნათობი.* № 6, თბილისი.).

chetia, sh. (1963). apkhazetis samtavros istoriisatvis (1853-1856). *saistorio moambe.* t.15-16. tbilisi. (ჩხეტია, შ. (1963). აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1856). *საისტორიო მოამბე.* ტ.15-16. თბილისი.).

khantadze, sh.(1957). samegreloshi asi tslis tsinat. *tsiskari.* № 2. tbilisi. (ხანთაძე, შ. (1957). სამეგრელოში ასი წლის წინათ. *ცისკარი.* № 2. თბილისი).